ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	ექვსი თვის გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	8560.0	**5079.4**
გადასახადები	335.0	**743.4**
გრანტები	7090.4	**3708.2**
სხვა შემოსავლები	1134.6	**627.8**
ხარჯები	5939.2	**3247.2**
შრომის ანაზღაურება	776.9	**770.0**
საქონელი და მომსახურება	1 002.8	**373.2**
პროცენტი		-
სუბსიდიები	1836.6	1678.4
გრანტები	81.9	74.9
სოციალური უზრუნველყოფა	329.3	308.6
სხვა ხარჯები	1916.7	42.1
საოპერაციო სალდო	2620.8	1832.2

არაფინანსური აქტივების ცვლილება	3349.4	2330.0
ზრდა	3399.4	2384.8
კლება	50.0	54.8
მთლიანი სალდო	-728.6	-497.8
ფინანსური აქტივების ცვლილება	728.6	**-504.8**
ზრდა	0	**-504.8**
ვალუტა და დეპოზიტები		
კლება	728.6	**0**
ვალუტა და დეპოზიტები	728.6	**0**
ვალდებულებების	0.0	**7.0**
ზრდა		-
საგარეო		-
საშინაო		-
კლება	0.0	**7.0**
საგარეო		-
საშინაო	0.0	**7.0**
ბალანსი	0.0	**0.0**

2016 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი შეადგენდა 728.6 ათას ლარს.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	**ექვსი თვის გეგმა**	**საკასო შესრულება**	**შესრულება%-ში**
შემოსულობები	**8610.0**	**5134.2**	**59,6**
შემოსავლები	**8560.0**	**5079.4**	**59,3**
არაფინანსური აქტივების კლება	**50.0**	**54.8**	**109,6**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-

გადასახდელები	**9338.6**	**5632.0**	**60,3**
ხარჯები	**5939.2**	**3247.2**	**54,7**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**3399.4**	**2384.8**	**70,2**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-
ნაშთის ცვლილება	**-728.6**	**-497.8**	

2016 წლის 30 ივნისისთვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 230,8 ათასი ლარი.

ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8610.0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შერულებამ შეადგინა 5134.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 59,6%.

<u>I შემოსავლები</u>

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ექვსი თვის გეგმით ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 8560.0 ათასი ლარი ფაქტიურად 5079.4 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 59,3% შეადგინა.

I გადასახადები

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 743,4 ათასი ლარი, გეგმის 335,0 ათასი ლარის 221,9%. საგადასახადო შემოსავლებში 203.3 ათასი ლარი მოდის საშემოსავლო გადასახადზე გეგმის 105 ათასის 193,6%, მათ შორის 218.9 ათასი ლარი ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან, ხოლო 1,3 ათასი ლარი ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავლიდან.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 540,1 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმის 230,0 ათასი ლარის 234,8%, მათ შორის: ქონებიდან (გარდა მიწისა) 532,4 ათასი ლარი, მიწაზე ქონების გადასახადიდან - 7,6 ათასი ლარი.

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 3708,2 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 7090.4 ათასი ლარი, 52,3%. მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი _ 1853,6 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 91,8 ათასი ლარი, კაპიტალური ტრანსფერი – 1762,8 ათასი ლარი.

III სხვა შემოსავლები

საკუთრებიდან შემოსავლებიდან სულ შემოსულია 491,1 ათასი ლარი. პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 2,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 12,5 ათასი ლარის, 16%. რენტის სახით მობილიზებულია 489,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (1034 ათასი ლარი) 47,3%-ია. მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 487,9 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1,3 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსულია 13,6 ათასი ლარი. მათ შორის: ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 13,2 ათასი ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან 0,4 ათასი ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 35,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (28.0 ათასი ლარი) _ 1 2 8 % შეადგენს. მათ შორის: შემოსავლები სანქციებიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო 30,3 ათასი ლარი, შემოსავლები არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო 5,4 ათასი ლარი.

<u>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან</u> საანგარიშო პერიოდში მიღებულია 87,4 ათასი ლარი, გეგმის 32.0 ათასი ლარის 273% , მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პორგასამტეხლოდან 15,4 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრებიდან 32.0 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 39,9 ათასი ლარი.

<u>არაფინანსური აქტივებიდან</u> მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 54,8 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმის 50.0 ათასი ლარის 110%. 54,8 ათასი ლარი მიღებულია არაწარმოებული აქტივის (მიწის) გაყიდვიდან.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის გადასახდელების დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 9345,6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 5639,0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 60,3%-ია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2016 წლის ექვსი თვის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 776,9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 770,0 ათასი, გეგმის 99%.

1. საკრებულო: შრომის ანაზღაურება 198,2 ათასი ლარი

ხელფასები 198,2 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 198,2 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 198,2 ათასი ლარი

2. გამგეობა: შრომის ანაზღაურება 529,0 ათასი ლარი

ხელფასები 529,0 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 529,0 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 529,0 ათასი ლარი

3. სამხედრო : შრომის ანაზღაურება 42,8 ათასი ლარი

ხელფასები 42,8 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 42,8 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 42,8 ათასი ლარი

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 1002,8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 373,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 37,2 %-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების" კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 70,6 ათასი ლარი;
- მივლინებები - 7,2 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 3,4 ათასი ლარი; გამგეობა 3,3 ათასი ლარი, თავდაცვას 0,5 ათასი ლარი.
- ოფისის ხარჯები - 59,5 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს ოფისის ხარჯები 5,4 ათასი ლარი, გამგეობას 51,3 ათასი ლარი, თავდაცვას 2,8 ათასი ლარი.
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 4,9 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 2,2 ათასი ლარი; გამგეობას 2.7 ათასი ლარი.
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 1,6 ათასი ლარი.
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 95,9 ათასი ლარი.
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 133.5 ათასი ლარი.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1831,6 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1678,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 91,6%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

- კომუნალური ინფრასტრუქტურის ექსპლოატაცია - 267,4 ათასი ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 447,4 ათასი ლარი;
- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება - 52,0 ათასი ლარი;

- განათლების სისტემის ხელშეწყობა - 6,4 ათასი ლარი;
- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 316,5 ათასი ლარი;
- კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა - 499,9 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა- 0,4 ათასი ლარი;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 8,6 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა - 51,4 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება - 28,4 ათასი ლარი.

„გრანტის“ მუხლიდან განხორციელდა ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდში საანგარიშო პერიოდში გეგმით გათვალისწინებული 74,9 ათასი ლარის გადარიცხვა.

სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 329,3 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 308,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 94 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარება - 25,5 ათასი ლარი;
- დაკრძალვის ხარჯები - 0,8 ათასი ლარი;
- ლტოლვილთა დახმარება - 1,2 ათასი ლარი;
- ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება - 6,3 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი - 136,2 ათასი ლარი;
- დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება 11,3 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 127,3 ათასი ლარი.

„სხვა ხარჯების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1916,7 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 42,1 ათასი ლარის მოცულობით. მათ შორის 38,9 ლარი მოხმარდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს, ხოლო დანარჩენი 3,2 ათასი ლარი დაიხარჯა სხვადასხვა ხარჯებზე.

ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 1009,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1044,1 ათასი ლარი) 96,7% შეადგენს.

- თავდაცვის სფეროში გეგმა განსაზღვრული იყო 60,9 ათასი ლარით , ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 55,8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91,6%.

- ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იქნა 5918,7 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2460.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 41,6 %,

- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 54,1 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 51,4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95%.

- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 980,5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 921,8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94%.

- განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 648,9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 538,9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 83%, მათ შორის:

- სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 354,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 334,1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94,2%.

- საბინაო-კომუნალური მეურნეობის დასაფინანსებლად გეგმით გგათვალისწინებული იყო 276,3 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 267,9 ათასი ლარი, გეგმის 97%.

2015 წლის ბიუჯეტის შესრულება ხარჯებისა და არაფიანსური აქტივები ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით			
დასახელება		ექვსი თვის გეგმა	საკასო ხარჯი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება,	1044.0	1008,2
702	თავდაცვა	60,9	55,7
704	ეკონომიკური საქმიანობა,	5918,8	2454,4
706	საბინაო - კომუნალური მეურნეობა,	276,4	267,9
707	-ჯანმრთელობის დაცვა,	54,2	51,4
708	-დასვენება და კულტურა,	980,6	921,8
709	განათლება	648,9	538,9
710	სოციალური დაცვა	354,8	334,0
	სულ ჯამი	**9338,6**	**5632,0**

ვალდებულებების დაფარვა

2016 წლის ექვს თვეში გადაირიცხა ბიუჯეტის ვალდებულების კლების მუხლით გათვალისწინებული 7,0 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდი

2016 წლის პირველ ექვს თვეში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამგებლის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო 30,4 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 12,6 ათას ლარს.

სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები

1. **3179 ლარი:** მ/ შორის კოხნარის, საჭამიასერის და ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეულებისათვის პოლიეთილენის მილების შეძენა 2639 ლარი; ხევის ადმინისტრაციული ერთეულისათვის ცემენტის შეძენა 540 ლარი.

2. **300 ლარი:** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გორაბერეჟოულის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ვარლამ კოვაშოვის ოჯახისათვის დაზიანებული სასმენი აპარატის ნაწილის შესაძენად.
3. **500 ლარი:** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრე სოციალურად დაუცველ მიხეილ ბერიძის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება.
4. **6426 ლარი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსწავლეთა ტრასპორტით უზრუნველყოფისათვის საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად .
5. **1700 ლარი:** სასპორტო სკოლის სუბსიდირებაზე, ჩოხატაურის გოგონათა გუნდის საქართველოს ჰოკეის ფედერაციის 2016 წლის კალენდარის შესაბამისად ქ. ბათუმში და წყნეთში დაგეგმილ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.
6. **8000 ლარი:** სსს ,,მომავლი"-ს სუბსიდირებაზე, სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს მიერ შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.
7. **2608 ლარი:** მ/ შორის

დაბის ტერიტორიაზე ცენტრალური გზიდან ჩასასვლელების გასაკეთებლად 4(ოთხი) ტონა ცემენტის შესაძენად 1040(ათას ორმოცი) ლარი.
დაბის სასაფლაოზე წყალის შესაყვანათ, პოლიეთილენის მილების შესაძენად, 580 (ხუთას ორმოცი)ლარი.
ბუკისციხის ადმინისტრაციულ ერთეულში საუბნო გზის შესაკეთებლად, 2(ორი) ტონა ცემენტის შესაძენად, 520(ხუთას ოცი) ლარი.
ზემოსურების ადმინისტრაციულ ერთეულში, 52 კმ/მ თუნუქის შესაძენად, 468(ოთხას სამოცდა რვა)ლარი.

8. **2290 ლარი:** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბუკისციხის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ იანეულში ფრენბურთის სტადიონის აღსადგენად საჭირო მასალების შესაძენად 2290(ორი ათას ორას ოთხმოცდაათი)ლარი.
9. **275 ლარი:** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ ქვენობნის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ამირან კვირიკაძის ოჯახისათვის ფეხის პროტეზის შესაძენად.
10. **1490 ლარი:** 1. კოხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ნაკადულში ახალგაზრდული ცენტრის შეღობვისთვის 60 გრ/მ. მავთულბადის შესაძენად 420 (ოთხას ოცი) ლარი;

2. კოხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. წიფნარში, მეფარიშვილების უბანში მისასვლელი გზის 40 გრ/მ. მონაკვეთზე ბეტონის საფარის მოწყობისათვის 3 ტ. ცემენტის შესაძენად 720 (შვიდას ოცი) ლარი და 10 კბ/მ წვრილმარცვლოვანი დატეხილი ფრაქციის შესაძენად.
3. ტრანსპორტირების ჩათვლით 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი;
11. **2000 ლარი:** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუკისციხეში მცხოვრებ, ნინა გიორგაძის ოჯახს, გრუნტის ჯდომის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღდგენითი სამუშაოებისთვის.
12. **1584 ლარი:** სასპორტო სკოლის სუბსიდირებაზე, მიმდინარე წლის 1-12 ივლისს ქ. ბათუმში, II საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში სასპორტო სკოლის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის მონაწილეობის მისაღებად ხარჯების ასანაღზაურებლად. (06)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ექვს თვეში ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები:

№	ორგანიზაციული კოდი	პროგრამის დასახელება	6 თვის გეგმა	6 თვის შესრულება
1	01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1050,4	1008,1
2	02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	60,6	55,4
3	03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	974,2	635,6
4	03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	276,3	267,9
5	03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2040,4	1329,8
6	03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	650,4	120,4
7	03 06	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	2248,2	368,4
8	04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	544,6	467,5
9	04 02	განათლების სისტემის ხელშეწყობა	33,7	19,3
10	04 03	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	55,4	52,1
	04 04	აჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა	15,2	0
11	05 01 04	სპორტული ობიექტების დაფინანსება	423,9	393,2
12	05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	524,7	502,3
13	05 02 08	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	8,0	4,9
14	05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	14,0	12,9
15	05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	10,0	8,6
16	06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	54,1	51,4
17	06 02 01	დაკრძალვის ხარჯები	1,3	0,8
18	06 02 03	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	34,9	25,5
19	06 02 04	ლტოლვილთა დახმარება	5,4	1,2
20	06 02 05	საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება	6,8	6,3
21	06 02 06	სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	173,5	173
22	06 02 07	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	132,8	127,4
		სულ	**9338,8**	**5632,0**